შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

"ფოთის სატრანსპორტო კომპანია"

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფოთის სატრანსპორტო კომპანია" წარმოადგენს ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.
1.2.სუბიექტი დაფუძნებულად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
1.3.საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდებაა შპს "ფოთის სატრანსპორტო კომპანია".
1.4. საწარმოს სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
1.5. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა N12; ელექტრონული ფოსტა: **Potiavtopark @gmail.com**
1.6.საწარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.
1.7საზოგადოების საქმიანობის საგანი:
ა) დადგენილი ტარიფების შესაბამისად მგზავრთა გადაყვანა, დადგენილი მარშუტით;
ბ)სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება/პროფილაკტიკის, მომსახურებისა და გასამართი სამუშაოების ჩატარება;
გ) საწვავ- საცხები მასალებით სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფა და მომსახურება;
დ) ავტოსათადარიგო ნაწილებისა და მასალების შესყიდვა, როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე მისი კომერციული პირობებით რეალიზაცია;
ე) თავისის საქმიანობის სფეროში შენავალი სამგზავრო ავტობუსების კოორდინაცია
ვ) ავტოსადგომისთვის განკუთვნილი შენობის (ავტოპარკის) და ტერიტორიის მოვლა-პატრონობა
ზ) საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელების მოვლა-პატრონობა და მართვა.
ზ) ხელშეკრულების დადება სახელმწიფო და კერძო პირებთან/ორგანიზაციებთან საქონლის ყიდვა-გაყიდვისა, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე თუ მომსახურების მიღება - გაწევაზე;
ვ) პარკირების ადგილების მოწყობა, დახაზვა, საგზაო ნიშნებით აღჭურვა;
ზ) პარკირების მონიტორინგი ქალაქში, კანონით დადგენილი წესით დამრღვევებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების (საჯარიმო ქვითრების) გამოწერა;
თ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე (მათ შორის სპეცტექნიკის) გადაყვანასა და ავტოსატრანპორტო საშუალების სპეციალური დაცული სადგომიდან გაყვანასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების განხორციელება;
ი) კანონით დადგენილ ვადაში, სამართალდამრღვევის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, აღსრულების იძულებითი ღონისძიების მიზნით სააღსრულებო ფურცლის გაცემა და მათი გადაგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროში;
კ) ქუჩებში და საზოგადოებრივ სივრცეებში ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და მოწყობის შესახებ შესაბამისი წინადადების შემუშავება და დადგენილი წესით უფლებამოსილი ორგანოსათვის წარდგენა;
ლ) ფასიანი პარკირების სისტემის დანერგვა, საფასურის ოდენობაზე წინადადების შემუშავება, დადგენილი წესით უფლებამოსილი ორგანოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა და დამტკიცებული საფასურის ამოღების ორგანიზება;

მ) სხვა სახის სამეურნეო და კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
ნ) სხვა ამოცანებისა და მიზნების შესრულება, საკრებულოსა და მერის სხვა დავალებების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ო) ყველა საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
1.8.საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 2. საზოგადოების დამფუძნებლები

2.1 საზოგადოების დამფუძნებელი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (საიდენტიკიფიკაციო კოდი 215138143, თვითმმართველი ერთეულების რეესტრში რეგისტრაციის თარიღი 04.12.2006 წელი, მისამართი საქართველო, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12. ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელია - ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კურდღელია (პირადი ნომერი 42001005705, მისამართი: ქალაქი ფოთი, წმინდა გიორგის ქ.N35).

მუხლი 3. საზოგადოების მართვა

3.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.
3.2.საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გადაწყვეტილებას ღებულობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილების შეტანა;
ბ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
გ) ინვესტიციების მოზიდვა;
დ) სესხის აღების თაობაზე საწარმოს დირექტორისთვის თანხმობის მიცემა.
ე) ვალდებულებათა უზრუნველყოფა (ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობა არ ჭირდება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებში და ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მიღებასთან და შესაბამისი ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საბანკო გარანტიის აღებას);
ვ) პროკურის გაცემა და გაუქმება;
ზ) წლიური შედეგების დამტკიცება;
თ) აუდიტორის არჩევის თაობაზე საწარმოს დირექტორისთვის თანხმობის მიცემა.
ი) საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

3.4. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობას.

მუხლი 4. საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.
4.2. დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად ამ წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.3.საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.
4.4.დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირთან ურთიერთობაში.
4.5.დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მერის გადაწყვეტილებით.

4.6.ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.
4.7.საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს.
4.8.დირექტორის უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" შესაბამისად, საწარმოში დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება და გაუქმება.
4.9.დირექტორს უფლება არა აქვს პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.
4.10. საწარმოს დირექტორი ანგარიშვალდებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე და ასევე - საკრებულოს წინაშე, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის უფლებები და მოვალეობები

5.1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს გააჩნია შემდეგი უფლებები:
ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;
ბ) კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;
გ) გაეცნოს საზოგადოების საქმიანობას, მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია და ანგარიში;
დ) მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებები.

მუხლი 6. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1.საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია შესაძლებელია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.
6.2.სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დასკვნითი და სხვა დებულებები

7.1.წინამდებარე წესდება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.
7.2.თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.
7.3.საზოგადოების შემოსავლების წყარო შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემოსავლები, შემოწირულებები, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული შემოსავლები, ეკონომიური საქმიანობით მიღებული შემოსავლები და სხვა.
7.4 ამ წესდების დამტკიცება გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი **გოჩა კურდღელია**